



საქართველო 0198, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99, ტელ : 116 001 (180); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ-გვერდი: www.ncdc.ge
99 Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia; Phone: 116 001 (180) E-mail: ncdc@ncdc.ge; web: www.ncdc.ge

“გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე“

დასკვნა

დამგეგმავი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

შემსრულებელი საკონსულტაციო ორგანიზაცია : შპს ნიუ სითი დეველოპმენტ და შპს
თავისუფალი არქიტექტორები

დამტკიცებაზე პასუხისმგებელი: ქ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ანგარიშის წარმდგენი: ა(ა)იპ საქართველოს სივრცითი განვითარების მართვის
ინსტიტუტი, სივრცითი დაგეგმვის ცენტრი

დამფინანსებელი: გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმა შესაბამისობაში
უნდა იყოს საქართველოს კანონების „საქართველოს სივრცის დაგეგმარების,
არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და „კურორტებისა და
საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“, ასევე “სივრცის
დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ”
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების და
„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი
დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261
დადგენილების მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული ცენტრის მიერ „გარემოსდაცვითი
შეფასების კოდექსი“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის და “გარემოსდაცვითი
შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის
დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბერის №420
დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განხილულ იქნა
მოწოდებული მასალა.

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის სივრცით-ტერიტორიულ განვითარებაში მნიშვნელოვანია დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად სკოპინგის დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი განაშენიანების გეგმის (კონცეფცია) დამტკიცება.

„გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში“-ს შეფასებისათვის სოციოლოგიურ/დემოგრაფიული, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მიმართულებით, ცენტრის კომპეტენციიდან გამომდინარე, განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესაფასებლად გამოიყენება - ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების (მ.შ. ზღისა და მასში ჩამდინარე მდინარეები/წყლები, სასმელი და საბანაო წყლები, წყლის ეკოსისტემა და ჰაბიტატების ჯანმრთელობა), ადექვატური სანიტარიის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, დასაქმების, საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე ხელმისაწვდომობის, რადიაციული უსაფრთხოების, მოსახლეობის დაცვის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების დონის ჰიგიენური ასპექტები, სამედიცინო სერვისებზე ((რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება გადამდები და არაგადამდები დაავადებების განვითარებას) ხელმისაწვდომობის დონე) და გამოყენებული იქნა ორი ინსტრუმენტი:

1. წარმოდგენილი ინფორმაციის კვლევების/ მტკიცებულებების შეფასება.
2. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე პრიორიტეტული ზემოქმედების ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

გარდა ამისა, დასკვნის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა საქართველოში მოქმედი კანონები, ხელშეკრულებები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, და საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტები, კერძოდ:

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი კოდექსი“

საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“

საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“;

საქართველოს კანონი „მდინარეთა ნაპირების რეგულირების შესახებ“;

საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“

საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;

კონვენცია „ევროპის დაცული ლანდშაფტების შესახებ“

კონვენცია „ტრანსსასაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბებისა დაცვისა და გამოყენების“ შესახებ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2015 წ.

UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE (UNECE). Resource Manual to Support Application of the Protocol on Strategic Environmental Assessment.

UNITED NATIONS. New York and Geneva, 2012; GUIDELINES ON PRACTICAL APPLICATION OF STRATEGIC ENVIRONMENTAL ASSESSMENT IN GEORGIA. OECD, UNEP, UNECE and UNIDO. 2016; NHS. London Healthy Urban Development Unit. Rapid Health Impact Assessment Matrix. 2017;

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტები <https://www.who.int/hia/en/> ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შემუშავებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, ტექნიკური რეგლამენტები, სხვადასხვა სექტორალური სტრატეგიები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციები.

ასევე, განხილულ იქნა ის სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტთან არის მიმართებაში წარმოდგენილი სგმ ანგარიშის შესაბამისად:

- „გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2015-2021 წლებისთვის“;
- „კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა“;
- „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“;

- „კურორტ გრიგოლეთის სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი“ (2019, სამუშაო ვერსია);
- “ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქმშენებლობითი გეგმები”;
- „ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მალთაყვის უბნის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმა“;
- „სანაპირო სოფელ გრიგოლეთის 2019-2023 წლების მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019.09.27 განკარგულება;
- „სანაპიროს მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა წყალწმინდის თემისათვის“;
- „საქართველოს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია“, სამუშაო ვერსია;
- „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შესახებ“, კანონპროექტის სამუშაო ვერსია.

წარმოდგენილი პრიორიტეტული ინსტრუმენტების, საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტების და მიმართებაში არსებული სტრატეგიული დოკუმენტების განხილვის საფუძველზე, მომზადდა შენიშვნები და შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება შემდგომი ეტაპისთვის მნიშვნელოვანია.

შენიშვნები და კომენტარები სკოპინგის ანგარიშზე

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში საკმაოდ კარგად არის მოცემული ინფორმაცია კვლევების ჩატარების საჭიროების შესახებ სხვადასხვა მიმართულებით, მნიშვნელოვანია სკოპინგის ანგარიშის დოკუმენტში ასახული იყოს მეტი დეტალიზაცია განაშენიანების განვითარების ეტაპზე ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორების შესახებ. შესაბამისად წარმოგიდგენთ, დოკუმენტზე ამ მიმართულებით შენიშვნებსა და კომენტარებს და შესაბამის რეკომენდაციებს:

1. დემოგრაფია და დასაქმება

წარმოდგენილი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტი არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას განაშენიანების ტერიტორიაზე კერძოდ, გროგოლეთის და ყვავლინარის სანაპირო ზოლის, მოსახლეობის დემოგრაფიული და ჯანმრთელობის მდგომარეობის (გადამდები და არაგადამდები დაავადებების შესახებ მონაცემები) შესახებ. რაც, თავის მხრივ, მოგვემდგა განსჯის საფუძველს განაშენიანების შემდეგ ეტაპზე ჯანმრთელობის რა რისკებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება საბაზისო მონაცემების გათვალისწინებით.

წარმოდგენილ სგშ სკოპინგის ანგარიშში მოცემულია მონაცემები გურიის რეგიონის დასაქმების შესახებ, რითაც ირკვევა, რომ რეგიონი დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის და ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დაბალ ადგილს იკავებს (გვ.12), და მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეზობეკლ რეგიონებს - აჭარა და სამეგრელო-ზემო სვანეთი, რომლებსაც ტურისტული და ინდუსტრიული პოტენციალი გააჩნიათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლი, გრიგოლეთისა და ურეკის ჩათვლით, საკურორტო ზონას მიეკითვება და განაშენიანების განვითარება პირდაპირ იქონიებს გავლენას დასაქმებაზე. დოკუმენტში მოყვანილია ზოგადი ინფორმაცია დასაქმების გაზრდის შესახებ ტურისტული ინფრასტრუქტურის (მ.შ. რესტორნებისა და სასტუმროების მშენებლობის) ფონზე, თუმცა არ არის დეტალურად გაანალიზებული განვითარების შედეგად რა მასშტაბით გაიზრდება ამ ტიპის ინფრასტრუქტურა და დაახლოებით რა ოდენობის დასაქმების ადგილებს შექმნის. ასევე, აუცილებელია დეტალური ანალიზი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით და განაშენიანების შემდეგ რა დადებით ცვლილებას უნდა ველოდეთ დასაქმების/თვითდასაქმების მიმართულებით. დოკუმენტში განხილულია ფერმერთა/ბიზნეს ოპერატორთა განათლების ამდღების საჭიროების შესახებ, თუმცა არ არის მოცემული კონკრეტული გეგმები/სქემები ამ მიმართულებით განათლების ხელშეწყობის შესახებ, რაც დასაქმებასთან პირდაპირ კავშირშია.

2. სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა

წამოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ განაშენიანების ტერიტორიაზე (გრიგოლეთი და ს. წყალწმინდა) სამედიცინო დაწესებულება არ არის და მხოლოდ 8 კმ-ის დაშორებითაა. განაშენიანების განვითარების ეტაპზე, იგეგმება სასტუმროს შენობაში პირველადი დახმარების სამედიცინო პუნქტის განთავსება, თუმცა არ არის ინფორმაცია მოცემული რა ტიპის სერვისებზე იქნება გათვლილი, როგორ იფუნქციონირებს (გაუწევს თუ არა ადგილობრივ მოსახლეობას სამედიცინო სერვისს და როგორ დააკმაყოფილებს ინფრასტრუქტურა სამედიცინო სერვისების მომწოდებელთათვის დადგენლ სტანდარტებს). ვინაიდან განაშენიანების ტერიტორია არის ტურისტული ზონა, მნიშვნელოვანია აფთიაქების არსებობა როგორც ადგილობრივი, ასევე დამსვენებელთა ხელმისაწვდომობის მიზნით. ამიტომ, მიზანშეუხონილია განაშენიანების ეტაპზე სამედიცინო სერვისებისა და სააფთიაქო ქსელის განვითარებას მიექცეს ყურადღება, რაც დასაქმებასაც შეუწყობს ხელს.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებები

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, კურორტ გრიგოლეთისა და სოფელ წყალწმინდის გეგმარებით არეალში არ გვხვდება

საგანმანათლებლო დაწესებულებები. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, გრიგოლეთში ფუნქციონირებს დაწყებითი სკოლა, თუმცა არ არის საბავშვო ბაღი. დოკუმენტში მოწოდებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს დაგეგმილია 3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, თუმცა ბუნდოვანია, რა სახის ღონისძიებების გატარება იგეგმება ამ კონკრეტული პრობლემის მოგვარების მიზნით გრიგოლეთის ტერიტორიაზე, კერძოდ მოხდება თუ არა საბავშვო ბაღების მშენებლობა.

მნიშვნელოვანია, დოკუმენტში აისახოს ტერიტორიის განაშენიანების დროს სხვადასხვა ინტენსივობის მქონე საცხოვრებელ ზონებში სამომავლოდ გათვალისწინებული იქნება თუ არა სარეკრეაციო სივრცეები, ჯანდაცვის და სპორტის ობიექტები, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებები, ხომ არ დაირღვევა შესაბამისი ზონირების პრინციპი და განთავსდება რაიმე სახის ობიექტი, რომელიც ზიანს მიაყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას, ან/და განთავსდება სამეწარმეო ობიექტი, რომელიც დაარღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;

ზემოაღნიშნულის უფრო მეტად დეტალური შეფასება, რომელიც არ არის წარმოდგენილი, საშუალებას მოგვცემდა, გაგვეანალიზებინა, როგორია/როგორი იქნება ხელმისაწვდომობა:

- საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე;
- მომავალში სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებების არსებობის შემთხვევაში მათ შესაბამისობაზე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან, ნაკვეთებისა და ღია სპორტული მოედნების შესახებ, რა საჭიროებები გამოიკვეთება სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებების შექმნისათვის.

4. ადაპტირება შშმ პირთა მოთხოვნებთან

კურორტ გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განვითარების ხედვის ნაწილში შშმ პირების მოთხოვნების ადაპტირების ჭრილში აღნიშნულია, რომ: „განვითარებულია შშმ პირების საჭიროებებზე ორიენტირებული საზოგადოებრივი სივრცეებისა და სარეკრეაციო კეთილმოწყობილი სისტემა“, თუმცა, სკოპინგის დოკუმენტის ნაწილში არ გვხვდება ამ შინაარსის მქონე ინფორმაცია.

მიზანშეწონილია, ხედვაში უფრო დეტალურად მოხდეს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში დაგეგმილი ღონისძიებების ასახვა.

5. წყალმომარაგება და სანიტარია

წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის წყალმომარაგების სისტემა პრაქტიკულად არ არსებობს. ქაოტურად განლაგებული კოტეჯებისა და სასტუმროების წყალმომარაგება ხორციელდება ჭებიდან

და ჭაბურღილებიდან. საყურადღებო და საგანგაშოა ის ფაქტი, რომ კოტეჯებიდან და სასტუმროებიდან გამომავალი კანალიზაციის წყლები იკრიბება კუსტარულად დამზადებულ ჭებში, დარღვეულია სასმელი ჭებისა და კანალიზაციის შემკრები ჭების დაშორების სანიტარული ნორმები. როგორც გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების პროექტირების პირველ ეტაპზე აღინიშნა სანაპირო ზოლის წყალმომარაგების ალტერნატიულ და რენტაბელურ წყაროდ განიხილება სოფელ წვერმაღალაში არსებული 6000 მ³ ტევადობის რეზერვუარი. (რეზერვუარის წყლით შევსება ხდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ლაითურიდან და წვერმაღალაში არსებული სატუმბო სადგურიდან). განსაკუთრებით საყურადღებო და საგანგაშოა ის ფაქტი, რომ კოტეჯებიდან და სასტუმროებიდან გამომავალი კანალიზაციის წყლები იკრიბება კუსტარულად დამზადებულ ჭებში, დარღვეულია სასმელი ჭებისა და კანალიზაციის შემკრები ჭების დაშორების სანიტარული ნორმები.

6. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ასევე ბიოლოგიური მრავალფეროვნებისთვის. წარმოდგენილ პროექტში ჰაერის ხარისხის შესახებ არსებული მონაცემები საერთოდ არ არის მოცემული, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების დეტალური ანალიზის განხორციელების საშუალებას არ იძლევა. მნიშვნელოვანია, რომ დაიგეგმოს და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში აისახოს მონიტორინგის მონაცემები ჰაერის კონკრეტულ დამაბინძურებლებზე (მყარი ნაწილაკები - PM10, PM2.5, აზოტის ჟანგეულები, მიწისპირა ოზონი, გოგირდის დიოქსიდი).

ქვეყნის მასშტაბით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება არსებული შიდა წვის ძრავიანი ავტოტრანსპორტი, რომელთა უმრავლესობა გაუმართავია. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, სავარაუდოა, რომ სწორედ გრიგოლეთზე გამავალი ავტომარშრუტი იქნება ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ. შესაბამისად, პროექტის დადებით მხარეზე მიუთითებს მაგისტრალთან დაკავშირებული ალტერნატივების შემოთავაზება, რომელთა განხორციელების შემთხვევაში, აიკრძალება სატვირთო ავტომობილების მოძრაობა გრიგოლეთის გავლით. თუმცა რეკომენდებულია, რომ სგმ დოკუმენტი მოიცავდეს საავტომობილო გზის არსებული და დაგეგმილი ალტერნატივების დეტალურ ანალიზს, რათა შესაძლებელი იყოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება.

ცნობილია, რომ საქართველოში მაღალია შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი, თუმცა წარმოდგენილ პროექტში არ არის გაანალიზებული რა ტიპის

საწვავი გამოიყენება შინამეურნეობებში საკვების მომზადებისა და გათბობის მიზნით. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო კონვენციით განსაზღვრული პრინციპების ამოქმედება, რაც გულისხმობს როგორც საკუთარ სახლში, ასევე - სახლს გარეთ თამბაქოსაგან თავისუფალი ადგილების შექმნას და სასურველია, პროექტში აისახოს ჯანმრთელობის რეკომენდაციებთან შესაბამისობა ამ მიმართულებით.

პროექტში შემოთავაზებული განვითარების ხედვების განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელება. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაიგეგმოს სამომავლოდ ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი და საბოლოო ანგარიშში აისახოს სტაციონარული და/ან ინდიკატორული გაზომვების მონაცემები შემდეგ დამაბინძურებლებზე: (მყარი ნაწილაკები - PM10, PM2.5, აზოტის ქანგულეები, მიწისპირა ოზონი, გოგირდის დიოქსიდი). ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „მწვანე ქალაქის“ და ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში, ისევე როგორც მნიშვნელოვანია, ქალაქისათვის განისაზღვროს ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების ღონისძიებები, გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები და შერბილების ღონისძიებები.

7. ხმაური

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყარო ტრანზიტული საგზაო მაგისტრალია. თუმცა დოკუმენტში ასახული არ არის მონაცემი ხმაურის გაზომვის და შეფასების შესახებ. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი განაშენიანება ან/და სატრანსპორტო ქსელთან (გზებთან) დაკავშირებული ცვლილებები ისე უნდა იქნას დაგეგმილი, რომ მაქსიმალურად შემცირდეს ხმაურის დონე, რისთვისაც ხმაურის მუდმივი მონიტორინგი, გაზომვა და შეფასება აუცილებელია.

8. ელექტრომაგნიტური ველი და რადიაცია, რადიაციული ობიექტები

დოკუმენტში ზოგადად არის ნახსენები ელექტრომაგნიტური გამოსხივების შესახებ კვლევის ჩატარების საჭიროებაზე, იმ შემთხვევაში თუ განაშენიანების ეტაპზე გაიზრდება საკომუნიკაციო საშუალებებზე მოთხოვნა, თუმცა მიზანშეწონილია, დეტალური ინფორმაციის მოწოდება განაშენიანების განვითარებისას რამდენად გაიზრდება ელექტრომაგნიტური საკომუნიკაციო საშუალებები და როგორ იქნება დაცული კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები მათი ინსტალაციის, დასახლებულ ტერიტორიებთან დაშორების და ზღვრულად დასაშვები გამოსხივების შესახებ. მნიშვნელოვანია, ბუნებრივი რადიაციული ფონის კვლევის ჩატარება და შედეგების ანალიზი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მიმართულებით. აუცილებელია,

რადიაციული ობიექტების შესახებ დეტალური მონაცემების მოწოდება და მათთან დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ეფექტების გაანალიზება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9. ნარჩენების მართვა

წარმოდგენილ სგშ-ს სკოპინგის ანგარშში ნარჩენებთან მიმართებაში ბევრი ასპექტია განხილული, როგორცაა ზღვის წყლის ჩამდინარე წყლებით დაბინძურება, საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო, ასევე საკანალიზაციო ნარჩენების მართვა/უტილიზაცია, პლაჟების და სანაპირო ზოლის გასუფთავება და მონიტორინგი. წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში და განაშენიანების გეგმაშიც ინფორმაცია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით არის ძალიან ზოგადი. დოკუმენტი არ იძლევა ინფორმაციას, რა ტიპის ნარჩენი და რა რაოდენობით წარმოიქმნება, როგორია მისი მართვის მექანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოქმედებს ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა, იგი საჭიროებს განახლებას, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტულად რა მიმართულებით და რა სქემებით.

დოკუმენტი არ იძლევა კვლევისა და შეფასებით მონაცემებს განაშენიანების განვითარების და შემდგომ, პროექტის განხორციელების ეტაპებზე, ნარჩენების გენერირების და მართვის შესახებ, კერძოდ, რა რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნას უნდა ველოდოთ თითოეულ ეტაპზე, და რამდენად განსხვავდება ეს მონაცემები საბაზისო მონაცემებისაგან, როგორ უნდა დაიგეგმოს სხვადასხვა ტიპის ნარჩენების შეგროვების, გატანის და უტილიზაციის ღონისძიებები, როგორ მოხდება პლაჟის და სანაპირო ზოლის გასუფთავება და მონიტორინგი. მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების და საკანალიზაციო ნარჩენების მართვის მკაცრად გაწერილი გეგმის შემუშავება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაზისო კვლევის მონაცემების მოწოდება და პროგნოზული მაჩვენებლების და გეგმების შემუშავება ყველა ტიპის ნარჩენის მართვასთან მიმართებაში სივრცით დაგეგმარების ტერიტორიაზე.

10. კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ დაგეგმილი ღონისძიებები რამდენად შეუწყობს ხელს ატმოსფეროში სათბურის გაზების ემისიის შემცირების ფაქტორს, როგორც კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მიმართული გლობალური ქმედების ნაწილი. ასევე, არ არის მოწოდებული კლიმატური ცვლილებების შედეგად გამოწვეული მოვლენების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების დეტალური გეგმა, რომელშიც გაწერილი უნდა იყოს სავარაუდო ხარჯი და სამუშაოთა მოცულობა. ეს შეეხება: კლიმატის ცვლილების და საშუალო ტემპერატურის ზრდის პირობებში ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების პრევენციას, შემცირებას და მართვას, (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული სხვა

საფრთხეები); კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგად შეფასებას (ზღვის დონის აწევის გრძელვადიანი ზემოქმედებები საზღვაო კურორტზე/ტურიზმზე (კლიმატგონივრული ტურიზმის შესაძლებლობების შეფასება), კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება და სხვა. ასევე, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ჯანმრთელობის ზიანის შემცირების ღონისძიებებს და მონიტორინგის ინდიკატორებს. ყოველივე ეს მოითხოვს დეტალიზაციას.

ანალოგიური შენიშვნა არსებობს ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერჯის გამოყენების საკითხთან მიმართებაშიც, რომელიც დოკუმენტშია ნახსენები. დეტალური გეგმებია საჭირო, თუ როგორ მოხდება ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა-ნაგებობებში, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის პროცესში, განსაკუთრებით, ეს შეეხება ტურიზმის სექტორს. როგორ და რა რესურსებით მოხდება ენერჯის ალტერნატიული („ეკოლოგიური“) წყაროების (განსაკუთრებით, მზის) ფართოდ გამოყენება საზოგადოებრივი და კერძო საკუთრებაში არსებული შენობებისთვის (შინამეურნეობებში). როგორ იქნება რეალიზებული ენერგოდამზოგი მშენებლობები და რა მასშტაბით მოხდება განახლებადი ენერჯის გამოყენება, და რა რესურსებით.

11. ალტერნატივები და საბაზისო კვლევები

გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის კონცეფციაში შემოთავაზებულია, სივრცითი განვითარების გეგმარების გარკვეული ალტერნატივები, სადაც განხილულია ტურიზმის, რეკრეაციის და გასართობი ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობები. ალტერნატივების განხილვისას, მიზანშეწონილია გაანალიზდეს და ჩატარდეს საბაზისო კვლევები, რათა დაცული იქნას ადგილობრივი მაცხოვრებლების და დამსვენებლების/ტურისტების ჯანმრთელობა. ყურადღება უნდა გამახვილდეს საბანაო და სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგზე; გათვალისწინებულ იქნას ახალი კორონავირუსის საფრთხეები და ნარჩენების მონიტორინგის განხორციელების პერსპექტივები.

დასკვნები და რეკომენდაციები

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი შეფასებისათვის სტრატეგიული დოკუმენტის სკოპინგის ანგარიში უნდა შეიცავდეს დეტალურ გეგმებს (განხორციელების გზებით, რესურსებით და მოცულობით) შემდეგ პოზიციებზე (რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას):

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგები, მათი თავიდან აცილება,

შემცირება, შერბილება და კომპენსაცია. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმებისა და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშება.

„მწვანე დასახლების“ და ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვას საბინაო სექტორში და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობის პროცესში, მ.შ. ტურიზმის, ენერჯის ალტერნატიული („ეკოლოგიური“) წყაროების (განსაკუთრებით მზის) ფართოდ გამოყენება საზოგადოებრივი და კერძო საკუთრებაში არსებული შენობებისთვის (შინამეურნეობებში). ენერგომომარების შერბილების ალტერნატივები ენერგოდამზოგი მშენებლობით, განახლებადი ენერჯის გამოყენებით.

ფეხით სიარულის, ველოსიპედის გამოყენების ხელშეწყობა (ინფრასტრუქტურის შექმნა/ტროტუარები, საფეხმავლო და ველო ბილიკები და სხვ.); მდგრადი „მწვანე“ ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება.

ჰაერის ხარისხის ანალიზი და გაუმჯობესების გზები (მ.შ. სატრანსპორტო წყაროები); შენობისშიდა ჰაერის გაუმჯობესების შესაძლებლობები. ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი.

კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ჯანმრთელობის ზიანის შემცირების ღონისძიებები, მონიტორინგის ინდიკატორები.

ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების პრევენცია, შემცირება და მართვა, (წყალდიდობები, წყალმოვარდნები, ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული სხვა საფრთხეები) კლიმატის ცვლილების და საშუალო ტემპერატურის ზრდის პირობებში.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგადი შეფასება: ზღვის დონის აწევის გრძელვადიანი ზემოქმედებები; ზემოქმედების შეფასება საზღვაო კურორტებზე/ტურიზმზე (კლიმატგონივრული ტურიზმის შესაძლებლობების შეფასება). კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება.

სატრანსპორტო კვანძ(ებ)ის გარემოსდაცვითი შეფასება. სახმელეთო ტრანსპორტის ნაკადების უარყოფითი ზემოქმედებების შეფასება. ავტომაგისტრალის და მისი ალტერნატივების ზემოქმედებების შეფასება, მათ შორის, ჰაერის ხარისხი, ხმაური და ვიბრაცია, უსაფრთხოება, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრა და მათი შედეგების შეფასება, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება. გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა.

გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონვას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

სამედიცინო სერვისების, მ.შ. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი საშუალებებით უზრუნველყოფის, საჭიროების ანალიზი. დეტალური გეგმა დაგეგმილი სამედიცინო პუნქტის მშენებლობის და გასაწევი მომსახურებების ჩამონათვალის ჩათვლით.

როგორც ცნობილია, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის კურორტები **მალთაყვა-გრიგოლეთი-წყალწმინდა-ურევი** განსხვავდება სხვა საზღვაო კურორტებისგან თავისი უნიკალური მაგნეტიტური ქვიშის სანაპიროთი. მაგნეტიტური ქვიშის პლაჟები შედგენილია მეოთხეული პერიოდის აკუმულაციური ნატანებისგან, რომელთაც ნაპირის გასწვრივ მიყვება მაგნეტიტურ-ქვიშიანივე დიუნების ზოლი - მუქი ნაცრისფერი, შავი, მოყვითალო-მონაცრისფრო წვრილი და თხელმარცვლოვანი ქვიშებით. ამ ქვიშების შემადგენლობაში შედის მრავალი შენაერთი, მათ შორის მაგნეტიტი, ტიტანომაგნეტიტი, პიროქსენები, შპატი, კვარცი და სხვ. მათ შორის ძირითადი შემადგენელია მაგნეტიტი და ტიტანომაგნეტიტი.

კურორტ გრიგოლეთის სანაპიროსაც მიყვება ქვიშიანი პლაჟის ფართო ზოლი. აქაც სანაპირო ქვიშა შეიცავს მაგნეტიტური რკინის ნაწილაკებს. პლაჟს მთელ სიგრძეზე მიყვება ჭალა „ბიჭვინთის ფიჭვის“ კორომი. ბიჭვინთის ფიჭვი, ერთადერთი, რომელიც მლაშე ბრიზს უძლებს, სრულიად თავისებურ მიკროკლიმატს ქმნის, რაც დადებით გავლენას ახდენს გრიგოლეთის საკურორტო ფაქტორებზე, განსაკუთრებით, პულმონოლოგიური და ფტიზიატრიული თვალსაზრისით.

საკითხს ართულებს ის, რომ ამ ეტაპისათვის სანიტარიული დაცვის ზონები (სდზ) არ არის დამტკიცებული კურორტ „გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლისათვის“. მიუხედავად ამისა, სდზ-ის დამტკიცებამდე და დამტკიცების შემდეგ და მასში გასატარებელი რეჟიმის სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, სამკურნალო ქვიშის, ფიჭვნარისა და საკურორტო ტერიტორიების დაცვის, ასევე სანიტარიული დაცვის ზონებში ამკრძალავი ღონისძიებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანება და შემდეგ დაიგეგმოს/გადაწყდეს კურორტის ნებისმიერ ნაწილის განვითარება.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ტურიზმის ხელშეწყობა და ამ მიზნით სარეკრეაციო ტერიტორიების და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია კურორტების და მათ შორის გრიგოლეთის და ყვავილნარის, როგორც კლიმატო-ბალნეოლოგიური პროფილის მქონე კურორტის ფუნქციონირება და სამომავლოდ განვითარება. ასევე, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული დაგეგმარების გათვალისწინებით მაღალი დონის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსების შექმნა. ამჟამად სარეკრეაციო ტერიტორიებზე სამშენებლო განვითარების მიზნით გაზრდილმა ინტერესმა შესაძლოა მნიშვნელოვანი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კურორტს. წარმოადგენილ პროექტში აღნიშნულია ე.წ „წყლის ყვავილობის“ შესახებ, რაზედაც სამომავლოდ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“- ს შესაბამისად სგშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგში აღნიშნული რეკომენდაციების, ჩასატარებელი საბაზისო კვლევების შედეგები და სრულყოფილი ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბის შესახებ, პოტენციური გარემოს რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების და მათი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა კურორტის დაგეგმვის, განვითარებისა და მშენებლობის და ოპერირების ეტაპებზე.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე